სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05.04/215

ქ. თბილისი 5 სექტემბერი 2018

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის 03.09.2018 წ. №01-09-33/4640 მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 იანვრის №24 გადაწყვეტილების შესაბამისად მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს დოქტორანტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ (იხ. დანართი);
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე